

**მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ფერმის კრიტერიუმები, მაღალპროდუქტიული  
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების ჩამონათვალი,  
მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის წესი და  
ადგილობრივი სანაშენე მეურნეობების ჩამონათვალი**

**1. მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ფერმის კრიტერიუმები**

იმისათვის, რომ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის ახალი შენობის ასაშენებლად ან/და არსებული შენობის აღსადგენად ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისძირითადი საშუალებების კომპონენტის სესხით, საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი პირობები:

1. ფერმის შენობა (ახლადაშენებული ან/და აღდგენილი) უნდა იტევდეს არანაკლებ: ა) 10 სულ მეწველ და/ან გენერაციის მომცემ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს თავისი ნამატი; ბ) 50 სულ მეწველ და/ან გენერაციის მომცემ წვრილფეხა რქოსან პირუტყვს თავისი ნამატი;

2. ფერმის შენობა (ახლადაშენებული ან/და აღდგენილი) უნდა იყოს კაპიტალურად გადახურული, უზრუნველყოფილი დენითა და წყლით, რძის წარმოების შემთხვევაში რძის მიღებისა და/ანპირველადი დამუშავების ტექნიკური საშუალებებით;

3. ფერმის და რძის წარმოებასთან დაკავშირებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს ადგენს „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება და „ცხოველური წარმოების სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება.

**2. მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების  
ჩამონათვალი**

კავკასიური წაბლა ჯიში – ეს ჯიში საქართველოსთან ერთად გამოიყვანეს სომხეთში, აზერბაიჯანში და დაღესტანში, ადგილობრივი ძროხის შეჯვარებით უმთავრესად შვიცურ ჯიშთან. კავკასიურ წაბლა ჯიშში ხელსაყრელად არის შეხამებული ადგილობრივი ძროხის გამძლეობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებისადმი შეგუებულობა და ცხიმრძიანობა, შვიცური ჯიშის მაღალ ცოცხალ მასასა და წველადობასთან. ამ ჯიშის ცხოველები ფერად წაბლაა და ჰარმონიული აგებულებით გამოირჩევა. დაბადებისას დეკეულების საშუალო მასაა 28 კგ, მოზერებისა 30 კგ. კუროების მასა 700 -750 კგ-ია, ფურების 400-450 კგ, წველადობა 4200 კგ რძე, ცხიმინობა 3,7 %. კავკასიური წაბლა ჯიში კომბინირებული (სარძეო სახორცე) მიმართულებისაა. დაბადებიდანვე კარგად ნაკვები ამ ჯიშის მოზერების დღელამური წონა მათი ხშირად 900-1000 გს აღწევს, ხოლო საშუალო ცოცხალი მასა 345 კგ-ს, ნაკლავის გამოსავალი 57-60 %, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

შვიცური ჯიში – ეს ჯიში დაახლოებით 1000 წლის წინ, შვეიცარიის მთებშია გამოყვანილი. ის სარძეო სახორცე მიმართულებისაა და წაბლა ფერით ხასიათდება, აქვს მაგარი

პროპრციული აგებულება და აკლიმატიზაციის კარგი უნარი. მაღალი პროდუქტიულობის გამო ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, სადაც მისი მონაწილობით გამოყენილია ახალი ჯიშები. კუროების ცოცხალი მასა 900 კგ, ფურისა 550 კგ, წველადობა 4600 კგ, ცხიმინობა 3,6 %, რიგ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდია.

შავჭრელი ჯიში – ამ სახელწოდების მქონე ჯიში გამოყვანილი იქნა რუსეთში, იმავე ფერის ჰოლანდიურ ძროხასთან შეჯვარების გზით. ეს ჯიში შემოყვანილი იქნა საქართველოში სადაც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და საკმაოდ ფართოდ გავრცელდა (ფაქტიურად ის მეორე ადგილზეა კავკასიური წაბლას შემდეგ), მიეკუთვნება მეხორცულ ჯიშებს. დაბადებისას ხბოს წონა 35 კგ-ს აღწევს, სრულასაკოვანი კუროს მასა 880 კგ, ფურისა 550 კგ, წლიური წველადობა 5500-6000 კგ რძე, 3,6 % ცხიმის შემცველობით.

ჰოლშტეინური ჯიში – შავ-ჭრელ პირუტყვს ამერიკაში, კანადასა და რიგ სხვა ქვეყნებში ამჟამად ჰოლშტეინურს უწოდებენ. ის მიღებულია ჰოლანდიიდან შემოყვანილი პირუტყვის ხალასი მოშენებით, უხვი და სრულფასოვანი კვების ფონზე წარმოებული სელექციით, ეს ჯიში წველადობით ყველა სხვა ჯიშს აღემატება, მიეკუთვნება მერძულ ჯიშებს. კუროს საშუალო ცოცხალი მასა 900-1000 კგ-ს უდრის, ფურისა 680-700 კგ-ს, წლიური წველადობა 6500-7000 კგ-ს აღწევს, ცხიმინობა არ არის დიდი და 3,7%ს არ აღემატება.

ჯ ე რ ს ი ს ჯ ი შ ი - ერთ-ერთი უძველესი ინგლისური ჯიშია, თავდაპირველად ჯიშის სიწმინდის შენარჩუნების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლები გრძალავდნენ ამ ჯიშის საქონელის გაყვანას ქვეყნიდან. დღეისათვის გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში. პროდუქტიულობა აქვს დაბალი, თუმცა ცხიმისა და ცილების რაოდენობა რძეში ძალზე მაღალია, მიეკუთვნება მერძულ ჯიშებს.. წლიური წველადობა 3000-3500 კგ, თუმცა ცხიმინობა ხშირ შემთხვევაში 7%- ს აღწევს (საშუალოდ 5-6%-ია). სიმენტალის ჯიში - შვეიცარიაა ამ ჯიშის სამშობლო. ალპური მდელოების მცენარეული საფარის ნაირფეროვნების შედეგად ეს ჯიში არის კომბინირებული (მერძულ - მეხორცული ). კარგი წველადობის გარდა გამოირჩევა მაღალხარისხიანი ხორციით. წლიური წველადობა 9000 კგ-ს აღწევს (საშუალოდ 5000 კგ), ცხიმინობა 4%.

ა ი შ ი რ ი ს ჯ ი შ ი - შოტლანდიური წარმოშობი მერძული მიმართულების ჯიშია. შედარებით დაბალი

წონის (430-520 კგ) ფონზე წლიური წველადობა ერთი ლაქტაციის პერიოდში 4000-500 კგ რძეს იძლევა, ცხიმინობა 4-4,3%. ფურები კარგად იტანენ მკაცრი ზამთრის პირობებს, ცუდად ეგუებიან ცხელ კლიმატს. სახორცედ გამოზრდილი 1 წლიანი ხბოების წონა 350-450 კგ-ს აღწევს.

ვ ე ლ ი ს წ ი თ ე ლ ი ჯ ი შ ი - მიღებულია უკრაინაში სხვადასხვა ჯიშების შეჯვარების შედეგად. ამ ჯიშის ძროხები ხასიათდებიან კარგად გამოხატული რძინობის ნიშნებით (მიეკუთვნება მერძულ ჯიშებს), საშუალოზე სუსტად განვითარებული მუსკულატურით, დიდი ამტანობით, ფერად წითელია. სრულასაკოვანი კუროს ცოცხალი მასა 800 კგ, ფურისა 520 კგ, წველადობა 4500- 500 კგ რძე, 3,7 % ცხიმინობით. ჯიშის სახორცე პროდუქტიულობა არ არის მაღალი, სუქებისას მოზერის დღელამური წონამატი 800-950 გ-ს აღწევს, ნაკლავის გამოსავალი 52-55 %ს შეადგანს. ეს ჯიშიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული საქართველოში.

ჰ ე რ ე ფ ო რ დ ი ს ჯ ი შ ი - მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მეხორცული ჯიშია, სწრაფად

მატულობს წონაში, გამოირჩევა მაღალი ხარისხის „მარმარილოს ხორცი“. ფურები მარტივად ეგუებიან კლიმატის ცვლილებებს, დიდ მანძილებზე გადაადგილებას. რძის

წველადობა დაბალია, ხბოების გამოსაზრდელად საჭიროა დამატება. ზრდასრული ბულის წონა 900-1400 კგ- მდეა, ხოლო ხბო 650-850 კგწონის.

იაროსლავის ჯიში - რუსეთში გამოყვანილი მერძეული ჯიშია. მეხორცული თვისებები დამაკმაყოფილებელი აქვს ამ ჯიშს, ხბოები ადრეულ ასაკში იმატებენ ცხიმს, რაც საშუალებს იძლევა საკვები ხორცის მისაღებად ადრიდანვე. ხასიათდება მაღალი წველადობით, 5000 კგ- მდე, ცხიმთანობა 4 %, გააჩნია სხვადასხვა კლიმატური პირობებისადმი მარტივად შეგუების თვისებები.

ხოლმოგორის ჯიში - მერძეული ჯიშია, ყურადღება ექცევა წლის განმავლობაში მიღებული რძის რაოდენობასა და მის ცხიმთანობას. ჯიში გამოყვანილია რუსეთში, კარგად ეგუება მკაცრი ზამთრის პირობებს. მერძეული თვისებების გარდა კარგად ავითარებს მეხორცულ თვისებებსაც. კარგი კვების პირობებში წლიური წველადობა აღწევს 6000 კგ-ს, ხოლო მასა 550-600 კგ-ს. ჰოლანდიური ჯიში - უძველესი და განსაკუთრებულად მაღალპროდუქტიული 33 ქვეყანაში გავრცელებული ჯიშია, არის მერძეული ჯიში. ვარაუდობენ, რომ მერძეული მიმართულების ყველა ჯიშებს გააჩნია ამ ჯიშის გენი. წლიური წველადობა 4000 კგ-ს აღემატება, ცხიმთანობა 4%. დაბადებისას ხბოების წონა 35-40 კგ-ია, ზრდასრული პირუტყვი 600 კგ-მდეა, ხოლო მოზვრები - 900 კგ-ს იწონის. აბერდინო - ანგუსის ჯიში - კარგად გამოხატული მეხორცული თვისებებით ხასიათდება. ზრდასრული ფურის წონა 550-600 კგ, ხბოების - 850 კგ. სწრაფად მზარდი ჯიშია, 4 თვის ხბოების წონა 200 კგ-ს აღწევს. პირუტყვი გამოირჩევა ხორცის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის ხორცით.

გამოსავლიანობა საშუალოდ 65%-ს შეადგენს, არის შემთხვევაები 70%-ს აღწევს. მერძეულობის თვისებები დაბალია, წლიური წველადობა არ აღემატება 1500 კგ-ს.

ანგლერული ჯიში შექმნილია გერმანიაში. იგი მერძეული პროდუქტიული მიმართულების ერთერთი

საუკეთესო ჯიშია, ფერად მუქი წითელი ან ალუბლისფერი, მუქი ბეწვით თავის, კისრის და კიდურების მიდამოებში. ზრდასრული ცხოველების სიმაღლე მინდაოში 127-129 სმ- ია. ფურების ცოცხალი მასა 500-550 კგ-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო კუროების - 900-1000 კგ- ს შორის. ფურების მერძეული პროდუქტიულობა 5500 კგ-ს აჭარბებს. რძეში ცხიმის შემცველობა 4,64-5,1%ს შეადგენს, ცილა - 3,7%-ს. ამ ჯიშის მოზვრებისათვის დანახასიათებელია სუქების კარგი უნარი. 18 თვის ასაკში მათი ცოცხალი მასა 450-480 კგ-ს აღწევს, ნაკლავის გამოსავალი - 53- 55%-ს. საქართველოში ამ ჯიშის კუროებს იყენებდნენ დართვით შეჯვარებაში ფურების ცხიმთანობის გასადიდებლად.

ლატვიური წაბლა - მერძეული პროდუქტიული მიმართულების ჯიშია. იგი გამოყვანილია ადგილობრივი საქონლისა და მისი ნაჯვარების ანგლერულთან, ჩრდილოეთ შლეზვინგის და წითელ

დანიურ ჯიშებთან შევარებით. ლატვიური წაბლა ჯიშის პირუტყვისათვის დამახასიათებელია წითელი ფერი, ხოლო კისრის ქვედა მხარე, ყურები, კიდურები და კუდი შავი ფერისაა. სხეული გრძელი და გაწელილია, გულმკერდი ღრმა და განიერი. ფურების ცოცხალი მასა

500-550 კგ-ს ფარგლებში მერყეობს, ხოლო კუროების - 800-850 კგ-ს შორის. ფურების მონაწველი

3500-4000 კილოგრამია, ცხიმთანობა 3.9-4%. ამ ჯიშის მოზვრებს აქვს დამაკმაყოფილებელი სახორცე პროდუქტიულობა. საკლავის გამოსავლიანობა 50%. ლატვიური წაბლა გავრცელებულია ლატვიში, ბელარუსიაში, ყაზახეთში, რუსეთში, შემოყვანილი იყო საქართველოშიც.

ფლექტი - ავსტრიაში და გერმანიაში სელექცირებული სიმენტალური ჯიშია. იგი მერძეულმეხორცული მიმართულებისაა. ახასიათებს სხვადასხვა ინტენსივობის წითელჭრელი შეფერილობა. ფურების ცოცხალი მასა მერყეობს 650-850 კილოგრამს შორის, კუროების- 1100- 1300 კილოგრამს შორის. ახალშობილი ხბოები იწონიან 39-40 კილოგრამს. ფურების მონაწველი შეადგენს 6.500 კილოგრამზე მეტს, 4,13% საშუალო ცხიმის და 3,49% ცილის შემცველობით. ჯიში გამოირჩევა მაღალი სახორცე პროდუქტიულობით. სასუქი ცხოველების დღიური წონამატი ინტენსიური კვების პირობებში 1200 გრამზემეტია.

ესტონური წითელი ჯიშის - საქონლის განვითარება დაიწყო 100 წლის წინ ესტონელებისა და სხვა ევროპელი მომშენებლების ერთობლივი სანაშენე სამუშაოები განხორციელებით. დანიურმა წითელმა ჯიშმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ესტონური წითელის ჯიშის განვითარებაში. 1889 წლიდან ესტონურმა წითელმა საქონელმა დაიწყო კონკურენციის გაწევა ჰოლშტინო ფრიზულ საქონელზე. დღეის მონაცემებით ესტონური ჯიში ხასიათდება როგორ წყნარი და საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრებისუნარიანი საქონელი, ახასიათებთ დაავადების მინარტ მდგრადობა და გამოირჩევიან ძლიერი კონსტიტუციით. 10000 კგ რძის წარმოება დღეისათვის იშვიათობას აღარ წარმოადგენს, პროდუქტიულობის მონაცემები ესტონურ წითელი საქონელისთვის მე3 ლაქტაციაზე 9-10 ათასი კილოგრამი რძეა, ცხიმთანობით 3.8% და ცილა 3.01% ხოლო საშუალო პროდუქტიულობა 8000 კგ რძე/წელიწადი. ზრდასრული ფურის სიმაღლე მინდაოში 145 სმ-ია და ცოცხალი წონა 650 კგ. მომწოდებელი ქვეყანა: ესტონეთი.

წითელ ჭრელი ჰოლშტინური ჯიში / სარძევე მიმართულება - წითელი ჭრელი ჰოლშტინური ჯიში გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, მიეკუთვნება მერძეულ ჯიშებს. ფურისა საშუალო ცოცხალი მასა 650–750კგ-ია, საშუალო წლიური ლაქტაციური მონაწველი 8500 კგ., ცხიმთანობა 4.2%, რძეში ცილის შემცველობა 3.45%. წითელჭრელი ჰოლშტინური ჯიში გამოირჩევა ძლიერი ჩლიქით და კიდურებით, ცურის ჯანმრთელობით, განაყოფიერების მაღალი უნარით და ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით. ზრდასრული ფურის სიმაღლე მინდაოში 145-156 სმ-ია. მომწოდებელი ქვეყანა: დასავლეთ ევროპა (დასავლეთ ევროპა). ტარენტაიზი/ სარძევე სახორცე მიმართულება - ტარენტაიზის ჯიშის საქონელი გავრცელებულია საფრანგეთში ჩრდილო და ცენტრალური ალპების მასივში. მისი რძის საშუალო წლიური ლაქტაციური მონაწველი შეადგენს 40101 კგ-ს ხოლო ცხიმის შემცველობა 3,93% და ცილა 3.4%. ტარენტაიზის ჯიში გამოირჩევა სხვადასხვა კლიმატურ ზონებში ადაპტაციის მაღალი უნარით და ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით. სასუქი მოზერების ცოცხალი მასის დღიური წონამატი შეადგენს 1300 გრამს. ზრდასრული ფურის სიმაღლე

მინდაოში 135 სმ-ია და ცოცხალი წონა 550 კგ. კუროს საშუალო ცოცხალი მასა უდრის 800 კგს. მომწოდებელი ქვეყანა: საფრანგეთი.

ყალმუხური ჯიში - ფრანგულ-იტალიური, ინგლისური და ამერიკული წარმოშობის მეხორცულ ჯიშებთან შედარებით მისი სახორცე პროდუქტიულობა უფრო დაბალია. ამასთან, ყალმუხური ჯიში მიეკუთვნება აბორიგენულ ჯიშებს, გამოირჩევა გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ მაღალი ამტანობით, ორგანიზმის რეზისტენტობითა და მწირი საკვების სრულყოფილად ათვისების უნარით, ხოლო ხორცი - მაღალი საგემოვნო და კულინარიული თვისებებით.

ლიმუზინური ჯიში - სახორცე მიმართულების ჯიში, გამოყვანილია საფრანგეთის პროვინცია ლიმუზინში. ჯიშის გამოყვანას ხელს უწყობდა ამ პროვინციის მკაცრი კლიმატი და უხვი რაოდენობის უხეში საკვები, რაც არ ესადაგებოდა სარძეო მიმართულების განვითარებას. აქტიური სასელექციო მუშაობა დაიწყო მე-18 საუკუნეში. ცხოველების

გადარჩევა მიმდინარეობდა ორი პარამეტრის მიხედვით - კარგი სახორცე პროდუქტიულობა და სამუშაო თვისებები: გამძლეობა, მაგარი ძვლეული, კუნთოვანი მასა. სასელექციო სამუშაოების შემდეგი ეტაპის შედეგად მიღებულ იქნა საუკეთესო ხორცის ხარისხის მქონე მალმწიფადი ცხოველები, რომლებსაც ახასიათებდა ნაკლავის მაღალი გამოსავალი ცხიმის ნაკლები შემცველობით. სტანდარტის მიხედვით, ლიმუზინური ჯიშის ცხოველები მუქი ხორბლის ფერისაა. მკვეთრად აქვთ გამოხატული კუნთები, განსაკუთრებით სხეულის წინა ნაწილში, მაგარი კიდურებითა და ღია ფერის ჩლიქებით. ჯიშის დამტკიცების ოფიციალური ადგილი და თარიღია 1856 წელი, საფრანგეთი. მაშინვე შეიქმნა ჯიშის სანაშენე წიგნი. ხბოების ცოცხალი მასა დაბადებისას 40 კგ-მდეა, სადღეღამისო ნამატი 1,3 კგ. კუროების ცოცხალი მასა აღწევს 1200 კგ-ს, ფურების - 700 კგ, სიმაღლე მინდაოში კუროების - 140 სმ, ფურების - 130 სმ, მონაწველი შედარებით დაბალია - 1700 კგ 5% ცხიმის შემცველობით. ლიმუზინური ჯიშის ცხოველებისთვის მიზანშეწონილია საძოვრული ტიპის შენახვა, რაც ნაკლებად ხარჯიანია. 8 თვის ასაკში მოზარდი გადაჰყავთ სუქებაზე, რაციონში უმატებენ 30% კონცენტრატს. ასეთი ტექნოლოგია ხელს უწყობს საკვების ხარჯების შემცირებას. ჯიშისთვის დამახასიათებელია ნაკლავის მაღალი გამოსავალი - 70%, ხორცის საუკეთესო ხარისხით. კარგ შედეგებს იძლევა ლიმუზინური ჯიშის ცხოველების შეჯვარება აბერდინ-ანგუსის, ჰერეფორდის და შორტჰორნის ჯიშებთან.

სალერსის ჯიში - გამოყვანილია საფრანგეთის მთიან რაიონებში, დამტკიცებულია XIX საუკუნეში, ძირითადად სალერსის ჯიშის პირუტყვს აშენებენ სახორცე პროდუქტიულობის მიმართულებით. საფურეების ცოცხალი მასა დაბადებისას 34-36 კგ, სახარეების - 36-40 კგ; 18 თვის ასაკში სახარეების ცოცხალი მასა საშუალოდ 540-570 კგ-ია, ზრდასრული ფურების - 650-900 კგ, კუროების - 1000-1300 კგ. სარძეო პროდუქტიულობა - 1800-2000 კგ.

ობრაკის ჯიში - გამოყვანილია საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში. სახორცე მიმართულებისაა, მორგებულია ექსტენსიურ წარმოებაზე. საფურეების საშუალო წონა დაბადებისას 35-37 კგ, სახარეების - 38-40 კგ. 18 თვის ასაკში სახარეების წონა საშუალოდ 530-550 კგ-ია, ზრდასრული ფურების ცოცხალი მასა - 600-800 კგ, კუროების - 900-1000 კგ. კავკასიური კამეჩი - ფურკამეჩის ცოცხალი მასა 400-450 კგ- მდე, კურო-კამეჩის - 650-750 კგ; ფურკამეჩის ლაქტაციური მონაწველი მხოლოდ საძოვრული საკვებით კვებისას 1300-1500 კგ რძეა 8%- მდე ცხიმით (ანუ ძროხის სტანდარტული, ანუ საბაზისო ცხიმინობის რძეზე გადაანგარიშებით მონაწველი შეადგენს 2700-4000 კგ- ს). ზაქის ცოცხალი მასის ნამატი სუქებისას 700-950 გ- ა, ის 18 თვის ასაკში აღწევს 390-450 კგ ცოცხალ მასას, ხოლო ნაკლავის გამოსავალი 50-54%- ის ფარგლებშია.

"ხმელთაშუაზღვისპირული კამეჩი" - იტალიური „ ხმელთაშუაზღვისპირული კამეჩი“ , ამ სახეობის ცხოველთა 70-ზე მეტ ჯიშს შორის , ერთ-ერთი ყველაზე დიდტანიანია და ხასიათდება მაღალი სარძეო პროდუქტიულობით: ფურკამეჩების ცოცხალი მასა 450-550 , ხოლო კურო - კამეჩის - 750-850 კგ-ს აღწევს. ფურკამეჩის ლაქტაცია გრძელდება 277 დღე, მონაწველი კი შეადგენს 1 600-1800 კგ რძეს, 7%-ზე მეტი ცხიმით. იტალიური კამეჩის საუკეთესო ნახირებში 2 000 -3 000კგ. წველალობის ინდივიდები საკმოდ ბევრია. ეს კი ნიშნავს, რომ სტანდარტული, ანუ საბაზისო ცხიმინობის რძეზე გადაანგარიშებით, მათი მონაწველი შეადგენს 3 800 – 5 000კგ-ს.

”მონბელიარდის ჯიში“ - არის შვეიცარული წარმოების სიმენტალური ჯიშის მონათესავე, რომლის სარძეო პროდუქტიულობის პოტენციური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად გასული საუკუნის 60- იანი წლებიდან დართვითი შეჯვარებაში გამოყენებული იყო წითელი ჰოლშტინური ჯიში

### 3. მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის წესი:

იმისათვის, რომ მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ძირითადი საშუალებების კომპონენტის სესხით, საჭიროა დაცული იქნას შემდეგი პირობები:

1. დასაშვებია მხოლოდ მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დადგენილი ჯიშების მერძეული / მეხორცული ან / და კომბინირებული (მერძეულ / მეხორცული) მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის - სანაშენე დეკლარაციის ან/და მაკე უშობელი ფურცლის - შეძენა როგორც იმპორტის გზით, ასევე ადგილობრივ ბაზარზე.

2. მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ განსაზღვრული სანაშენე მეურნეობებიდან. სანაშენე მეურნეობების ჩამონათვალს განსაზღვრავს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ა(ა)იპ სოფლის გავითრების სააგენტოსთან ერთად.

3. იმპორტირებული მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეძენის შემთხვევაში, პირუტყვი უნდა იყოს ნიშანდებული და კარანტინის პერიოდში გაიაროს ყველა კანონით განსაზღვრული პროცედურა.

4. იმპორტირებული მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეძენის შემთხვევაში ბენეფიციარმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული შემდეგი აქტების თანახმად:

- ✓ „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N420 დადგენილება;
- ✓ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N426 დადგენილება;
- ✓ „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება;
- ✓ „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N764 დადგენილება.

5. მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იმპორტის შემთხვევაში ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საბაჟო დოკუმენტაცია.

6. ადგილობრივი სანაშენე მეურნეობიდან მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეძენის შემთხვევაში, ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს მაღალპროდუქტიული პირუტყვის წარმოშობისა და შესყიდვის დოკუმენტაცია.

7. როგორც იმპორტირებული ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი პირუტყვი უნდა იყოს იდენტიფიცირებული სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.

8. ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შუამავალი კომპანიების მომსახურებით, რომლებიც უზუნველყოფენ ბენეფიციარებისთვის განსაზღვრული მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იმპორტს. აღნიშნული სახით პირუტყვის შეძენის შემთხვევაში ბენეფიციარმა უნდა იხელმძღვანელოს მე-4 პუნქტით განსაზღვრული მთავრობის დადგენილებების შესაბამისად.

9. როგორც იმპორტირებული ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი პირუტყვის რეალიზაცია ბენეფიციარს ეკრძალება სესხის გაცემიდან მომდევნო 36 თვის განმავლობაში.

#### **4. ადგილობრივი სანაშენე მეურნეობების ჩამონათვალი**

1. შპს „ყვარლის ბაგა“ (ს/კ 441554051);